



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალასტანი

ალასტანი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ჭობარეთის (ფარავნის მარჯვ. შენაკადი) ორივე ნაპირას.

თემის ცენტრი (სოფლები: ა., გოკიო, ვარევანი). ზ. დ. 1660 მ., ახალქალაქიდან 23 კმ. 641 მცხ. (2014).

ა-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გორანამოსახლარები ადასტურებს, რომ ეს ადვილი ანტ. ხანიდან იყო დასახლებული. X-XI სს-ში ა-მა სოფლის სახე მიიღო და სხვა სოფლებთან (ღრტილა, დღივი, ბოჟანო) ერთად საქართველოს მეფეების დროებითი საბაფხულო სადგომი გახდა. XII-XIII სს-ში ა. საუფლისწულო მამულის ცენტრი იყო, აქ ჰქონდა რეზიდენცია გიორგი IV ლაშას, რის გამოც იგი „ალასტანელის“ ტიტულით იწოდებოდა. 1302-80 წლებში ა. ამ რეგიონის „პროვინციის მეფეთა“ რეზიდენციის ცენტრს წარმოადგენდა. შემდეგ ა. მცხეთის საკათალიკოსოს მიეკუთვნა, XVI ს-ში სოფელი ორად იყო გაყოფილი – ბემო და ქვემო ა-ის სახელწოდებით. შემორჩენილია X-XI სს. ქართული და XIX ს. სომხ. ეკლესია.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., სოფელ ალასტანის ისტორიიდან, კრ.: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. 3, თბ., 1987.

ი. სიხარულიძე
